№ 49. 8 მარტი, სამშაბათი. 1866—1883 8 მარტი, სამშაბათი. № 49.

რედაქცია

ბოლოვანის ბრანსკექტზე თავ. ე. მუხრანელის სახლში ყლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

ქალაქში ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ქალაქის წიგნის მაღაზიაში. კარგად მცხოვრებთა აბონენტ Въ Тифлисѣ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელ. 1 წლისა.	9 მან.	ხამის თვისა.	3 მან.
ექვსი თვისა.	5 მან.	ერთი თვისა.	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე ერთი კაპეკი, ასოებისერეული ასოზე სამეგერი კაპეკი, ნუ ფასდებოდეს ერთ სტრიქონზე რვა კაპეკი.

თუ ხელმეორეთ მოითხოვს, რედაქტორ გასინჯავს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება შიდგება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება შიდგება ქალაქის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეულობრივ „დროების“ ნომერი ფასი ექვსი შაური.

მარიამ ანტონის ასული ჯიმშეროვისა, და შვილნი მისნი: მიხეილ, პავლე და ნიკოლოზ მწუხარეებით აუწყებენ ნათესაობას და ნაცნობებს, პირველი მეუღლის და მეორენი მამის, ივანე პეტრეს-ძის ჯიმშეროვის გარდაცვალებასა და მოიწვევენ მათ დღეს დილის 10 საათზედ მიცვალებულის გამოსაევნებაზედ საკუთარის სახლიდამ კათოლიკეთ ეკკლესიაზე, შუა ბაზარში.

ტელეგრამა

(„ნოვოეოე ვრემიას“ სატელეგრაფო ბიუროსა“)

რუსეთიდამ

5 მარტს

თაშკენტი. გვირგვინის კურთხევაზედ მიდიან ხიგის ხანი, ბუხარის ემირის შვილი, კაშგარის ბეგის შვილი, თურქმენების დეპუტატია და თაშკენტის ქალაქის თავი.

პეტერბურგი. პეტერბურგის ქალაქის რჩევამ უარი მიიღო იმ შუამდგომლობაზედ, რომ მოსკოვში მათ უდიდებულესობას ადრესს მივართმევთო, რადგან ძველთაგან ჩვეულებად არ ეფიქრა ესა და არც შეიძლება პეტერბურგს რამე უპირატესობა მიეცეს ამ შემთხვევაშიო; ძაშინ ამასვე მოითხოვდენ მოსკოვისა და სხვა ძველ ქალაქთა ერობანი და რჩევებიც და ყველას დაკმაყოფილება არ შეიძლებოდაო, რადგან ამდენ დეპუტატიას ვერ ჩაიტევდა კრემლიო, სადაც უნდა იქმნეს გვირგვინის კურთხევა.

გაზეთები იწერებიან, რომ მოკოვის თავის-მკვლელობა დაკავშირებულია კასის საქმეების წაყვანასთან, მოკოვის მინისტრობისასაო; წესდების წინააღმდეგ დაფუძნდა ეს კასაო რომელშიაც კანტრაოლიც არ მოუსდენიათო.

ტეუილია ხმები, ვითომც ახალი თავის-მკვლელობანი, დატუსაღება და ფულების გაფლანგვა მომხდარიყოს; უსაფუძვლო ხმაა აგრეთვე, რომ მოკოვთან, თავის-მკვლელობის წინ, სამსაჯულო გამოძიებელი ყოფილიყოს. მოკოვის გადაცვალებამდე რევიზია არ დაწყებილა.

6 მარტს

ადესსა. იმ დღიდამ, რაი ნავთსნობა გაიხსნა, აქედამ გავიდა 25 გემი, 5 მილიონზე მეტის ფუთი პურით.

საქმლვარ-გარეთიდამ

5 მარტს

პარიზი. აქ დაატუსაღეს ათი მოთავე ანარქისტებისა; ბრაზვინციაში კიდე ატუსაღებენ.

არჟანტონში გადაიცვალა გამოჩენილი მწერალი—სოციალისტი კარლ მარქსი.

ლონდონი. ამტკიცებენ, რომ აფეთქება ადგილობრივ თვით-მართველობის სამინისტროში ფენიების უნდა მოეხდინათ დინამიტით. ბარლამენტს და სამინისტროს იცავს პოლიცია, ეგვლგან დაყენებულია ეარაულები.

სოფია. შესდგა ახალი, კონსერვატიული სამინისტრო შემდეგის პირებისაგან: მინისტრი-თავს-მჯდომარე, შინაგან საქმეთა და ფინანსთ სამინისტროს გამგე—სობოლევი, სამხედრო—კაულბარსი, საზოგადო მუშაობათა, მეურნეობისა და ვაჭრების—ხილკოვი, უცხო ქვეყნების საქმეთა და სარწმუნოებისა—კირიაკ ცანკოვი, იუსტიციის—ტეოხაროვი და განათლებისა—აგურა.

მცირე შენიშვნა

არა მცირე საქმეზე

რამდენს ლაპარაკობენ, რამდენს ჰქადაგობენ ჩვენს საწყალ ლიტერატურაში, რომ როგორმე გააუმჯობესონ და წარმატებაში შეიყვანონ ჩვენში ზნეობითი და გონებითი განათლება; ბევრს სხვა-და-სხვა გვარ საგანზე თითქმის ყოველთვის ავიწყდებათ ხოლმე ერთი უმთავრესი და უპირველესი ძალა განათლების გაუმჯობესობისა. ამ გვარი ერთ-მხრივი მიმართულება და საგნის დაუსაბუთებლობა იქიდამ წარმოსდგება, რომ იგინი კაცობრიობის ისტორიას არაფერ ყურადღებას არ აქცევენ, არ აკვირდებიან მას, რაიცა გვიხატავს ცხადად ამ საგნის მიმდინარეობას. მივარდნილან ხის ტოტებს, ფოთლებს, და ძირს, ფესვებს-კი უყურადღებოდ სტოვებდენ; იმათ დავიწყებაში მიუციათ ხოლმე ის ჭეშმარიტება, რომ ხის გაფოთვლა და ცხოვრება შეუძლებელია უფესვოდ, საიდამაც თვით ხე და ხის ნაყოფნიც ილებენ არსებითს ძალას.

სწორედ ამ გვარ მდგომარეობაში არის ამ ჟამად განათლების კითხვა ჩვენს ლიტერატურაში.

საბერძნეთის, რომის, ეგვიპტის, ფინიკას და სხვათა ქვეყნების ისტორია აშკარად გვიმტკიცებს, რომ განათლებას, ზნეობითს და გონებითს განვითარებას უეჭველად ეჭირვება, თუ არ როგორც მისი წინამორბედი, მასთან ერთად მაინც თანამშრომელი კაცობრიობის პროგრესისა, ეკონომიური კეთილ-დღეობა, ნივთიერი დაკმაყოფილება შინაური მოთხოვნილებანი ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე

ბისა. ამას როგორც ცხადად ვხედავთ ზემო-ხსენებულ ხალხთა ისტორიულ მიმდინარეობაში, აგრეთვე არა ნაკლებ დავრწმუნდებით მასში, თუ რომ დავაკვირდებით თვით ჩვენი ხალხის მდგომარეობას, მის შინაურ ცხოვრებას.

შინ საწყალ გლეხ-კაცს ათასი ჭირი, ათასი ვაი-ვაგლახი აწევს თავს პირველად ცოლ-შვილის შენახვისგამო და მეორედ ათას-გვარ გადასახადებისაგან, და, აბა, ეხლა შეუძლიან თუ არა მას, მისცეს თავისი ბავშვი სასწავლებლად სკოლაში, თუ-გინდ უფასოდაც ასწავლიდენ მას, როდესაც იგი საჭიროა სახლისათვის და ერთი ლუკმა-პურის შეტანა შეუძლიან თავის მამის საწყალ ოჯახში? რა გზით შეუძლიან მას, იზრუნოს სულიერ განათლებაზედ, დააკმაყოფილოს გონებითი მოთხოვნილებანი, მისცეს საჭმელი თავის ჭკუას, როდესაც ხორციელნი მოთხოვნილებანი და ყოველ-გვარი ნაკლულევანებანი ძვლებიდგან ტვინს აცლიან.

საბუთად ჩვენი აზრის სიმართლისა ავიღოთ თვით ჩვენი „თანა-მოძმენი“—სომხები; ამათი მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რომ მატერიალურ სიმდიდრეს უეჭველად მოსდევს თვით გონებით სიმდიდრეც. რა არის მიზეზი, რომ იმათ ესე წაგვირბინეს წინ განათლებაში? რას უნდა მივაწეროთ ამათი ესრეთი დაწინაურება? რაღა თქმა უნდა, რომ ამის უპირველესი მიზეზი გახლავთ მათი ეკონომიური კეთილ-დღეობა იმათი მატერიალური სიმდიდრე. და ეს ისეთი თვალ-საჩინო და საღი ჭეშმარიტება არის, რომ მასზედ დიდი ხანია ლაპარაკს თავი გაანებს დაწინაურებულ ქვეყნებში.

მაშ რაღა ღონის-ძიება დაგვრჩენია, ვიხმაროთ ჩვენი მიზნის მისაღწევად განათლების გასავრცელებლად, გარდა, იმისა, რომელიც შეადგენს ეკონომიურ კეთილ-დღეობის უმთავრესს სახსარს, ნივთიერ მხარის გაუმჯობესების ძალას. ვაჭრობაზედ მოგახსენებთ.

მთელი ქვეყნები ვაჭრობით მდიდრდებიან, თვით ჩვენს მიწა-წყალში მშიერი სტუმრები ამითი გაძღნენ და ჩვენ-კი გულ-გრილად უცქერით ამ საქმეს. დრო გამოვიღვიძოთ. თვით ჩვენ ჩავაგლოთ მაგრად კლანჭები ჩვენი ქვეყნის ვაჭრობას და მით გაუხდეთ მეტოქად შემოსეულ ვაჭართ.

ამით მივაღწევთ ერთსა-და-იმავე დროს ორს მიზანს: ერთი მხრით—ჩვენი საკუთრება ჩვენვე დაგვრჩება და ჩვენშივე ჩვენად ვიქმნებით და მეორის—მითი გავიხსნით გზას გონებით განათლებისადმი.

ეკრო.

დღიური

ჩვენ გვესმის ტფილისის მცხოვრებთაგან ბევრი სამდურავები იმ შეწუხების გამო, რომელიც მისდგომია მათ სეფისკვრების მარტო ერთ ალაგს გაყიდვისაგან; როგორც მოგეხსენებათ მეფურნეებს აღუკრძალეს ფურნეებში ცხობა და გაყიდვა სეფისკვრებისა და მარტო ანჩისხატის ეკკლესიის სახლებში ჰყიდიან ამ ჟამად სეფისკვრებს.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა ტანჯვაში უნდა იყვენ ქალაქის მცხოვრებლები განსაკუთრებით კუკიელები, ავლაბრელები, მთაწმინდელები და სხვ., რომლებიც იძულებული არიან ერთი სეფისკვრისთვის ამ მანძილზე იარონ.

* * *

მომავალ შაბათს, 12 მარტს „კრუჟოკში“ პირველი გიმნაზიის მეტყველების მასწავლებელი ბ. ვ. ა. მარტინოვსკი წაიკითხავს ლექციას მ. ი. ლერმონტოვის პოემაზე—„დემონი“; აი, პროგრამა ლექციისა.

ა) ლიტერატურული განრჩევა (ესტეტიკური).

დემონის სახე.—თამარ.—ძირითადი აზრი პოემისა.—მისი ნაკლულევანება. — დემონი ლერმონტოვისა და ლიუციფერ ბაირონისა. ღირსება პოემისა.—რომანტიზმი პოემისა.—დემონი რუბენშტეინის მუსიკაში.

ბ) რაღური განრჩევა (ისტორიული).

დემონის დამოკიდებულება ავტორის პიროვნებისადმი.—მიზეზი ლერმონტოვის უკმაყოფილებისა. — ბაილენა ბაირონისა.—დემონი, როგორც გამომთქმელი მთელი დგმის უკმაყოფილებისა.—მდგომარეობა რუსის საზოგადოებისა, როგორც მიზეზის ამ უკმაყოფილებისა.

მთელი შემოსავალი ლექციისა პატივცემულ ლექტორს შეუწირავს ტფ. 1 გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთათვის.

* * *

ქალაქის ხუროების მამასახლისის, მ. მესხისაგან მივიღეთ ქვემო შენიშნვა დასაბეჭდად:

მადათოვის კუნძულზედ ხურუები შეწუხებულნი ვართ უფარნობის გამო. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ქალაქში არ არის ამისთანა ადგილი, სადაც კი ხალხი ცოტა ბლომად სცხოვრებს, რომ ფარნით განათებული არ იყოს და ამით ღამეში კისრის მტერევას მოშორებული. ჩვენ-კი რაღაცა უბედურებაა, ვერ აგვიცილებია ბნელ ღამეში წოწიალი და უშიშრად გაელა-გიმოელა. დიდი ხანი ვითმინეთ ამ გვარად ყოფნა იმ იმედით, რომ უჩვენოდაც მიაქცევსო ჩვენ მდგომარეობას ქალაქის მართველობა ყურადღებას, მაგრამ ეს ჩვენი ლოდინი ძლიერ გძელდება, როგორც ვხედავთ. ამიტომ ვაცხადებთ ეხლა, რომ ვისიც რიგია ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და გამოგვიხსნას სიბნელისაგან. რასაკვირველია, ეს ჩვენი შენიშვნა არ უნდა იყოს საწყენი არავისთვის. მშვიდობიანობის დასაცავადაც საჭიროა ამ კუნძულის განათება. ხშირად ხდება, რომ ქურდი, ავაზაკი კაცი, გაჭირვების დროს, აქ მოაშურებს, რომ თავი შეიფაროს ბნელ-ღამეში.

შორს არ წავალ: მოგახსენებთ ერთ შემთხვევას, რომელიც მოხდა წარსული თვის 13-ს. ერთი ქარხნის პატრონი მიდიოდა თავის ბინისკენ; ამ დროს, შუა-გზაზედ, დაეცემიან ავაზაკები და ერთის კეტის დაკვრით წააქცევენ, შემდეგ ვერცხლის ჯამარს წაგლეჯენ და წყალში გადაგდებასაც დაუპირებენ იმ ხუროს; დაღუპავდენ საწყალ კაცს რომ ყვირილზედ სხვა ხუროები არ მოშველებოდენ. ბევრი ეძიეა მცარცველები, მაგრამ რას ნახავდენ, როცა ისე ბნელოდა, რომ

ლანძღვით და ხშირად კისერშიაც წაჰკრავდა ხოლმე... მაგრამ საწყალი ბერიკაული კოროლი, თვინიერ ყოველის აღელვებისა, გაჯავრებისა, მშვიდობიანად, ჩუმად მივიდოდა და დაბძანდებოდა თავის ტახტზედ, სანამ მორჩებოდა დღესასწაული. ბოლოს ჩუმადვე, წყნარად ადგებოდა და მთელი წელიწადი დაიკარგებოდა.

ერთხელ შაიას ცოლმა მოინდომა, რა კი მოიღალა ლანძღვა-გინებით და ცემითა, ალერსით ემოქმედა როგორმე თავის ქმარზედ და უთხრა:

— რას ჰფიქრობ, შაია, შენს თავზედ? მოდი ვონებასა, იფიქრე რამ შენს შვილზედ, ხომ ხედავ რამოდენა გაიზარდა და სწავლა არა აქვს-რა. ცოლი მაინც შავრთათ!

— მაგის ცოლის შართვას კიდევ მოვესწრობით, მაგრამ საჭიროა ალაგზედ, რაიმე საქმეზედ დავაყენოთ.

— რა საქმეზედ და ალაგზედ დააყენებ ამ უსწავლელს?

— ეგ არაფერია, თუ იეგოვა შემიბრალებს მე ცოდვილსა. მე მაგას ექიმად გავხდი. დიაღ, ექიმად!

— რაო?

— დიაღ, უთუოდ ექიმად გავხდი მაგას და ამასთანავე გამოჩენილ ექიმად, უკეთუ, რასაკვირველია, შემიბრალებს იეგოვა ცოდვილსა და შეისმენს ჩემს ლოცვასა.

— შემატყობინე, ამიხსენი, რას ამბობ?

— ეხლავე, ეხლავ ჩემო საყვარელო. ვეეედრები მე იეგოვასა, რომ გარდამაქციოს სიკვდილის ანგელოზად.

— ხუმრობ, თუ ჭკუაზედ შეიშალე, რას ყბედობ?—შაუტია ცოლმა გაჯავრებით.

— ნუ ჯავრობ. რასაც გიამბობ, ჩვენს ებრაულს წიგნში სწერია და ხომ იცი, რაც იმ წიგნში სწერია, მართალია, ტყუილი იქ არა არის-რა და არც შაიძლება—წმიდა წიგნია!

ცოლმა თვალები შაუჩყიტა, მაგრამ წინაალმდეგი სიტყვა იმ წიგნზედ ვეღარა გაბედა-რა.

— აი, ჩემო ნუგბარო ცოლო, რა ჰსწერია იმ წიგნში და რას მოგვითხრობს:—ერთხელ დიდი იეგოვა გაუწყრა თურმე სიკვდილის ანგელოზს, იმ ანგელოზს, რომელიც თავით ფეხებამდისინ ხულ თვალებით არის მოჭედილი და რომელიც ქვეყანაზედ დაწანწალებს და უხილავ—მიულოდნელად ჰხოცს ხალხსა გალესილი სამართებლით, რომელსაც უწოდებენ სიკვდილსა.—მიზეზი იეგოვის განრისხებისა ის იყო, რომ მომატებულად დაიწყო ცელქობა და ხალხის ჟლეტა. იეგოვა დიდს ხანს ჰფიქრობდა საგრძნობელი დასჯა დაედო იმ ცელქისათვის და ბოლოს მოიგონა:—მოიხმო იეგოვამ სიკვდილის ანგელოზი და უბრძანა:—ჩადი ქვეყანაზედ და იქ ცოლი შაირთეო.

შაის ცოლმა ეს რომ გაიგო, ბურთსავით შახტა და დაეცა.

— ჩვენს წიგნს ამით არ უნდა სთქვას, რომ ცოლის შართვა ყოველთვის ღვთის რისხვაა. არა. ამით იგულისხმებიან მხოლოდ ის ცოლები, რომელზედაც სოლომონ ბრძენი სწერს:—„მწარენი არიან სიკვდილზედ“. ერთს ამისთანა ჯურის ქალზედ უბძანა იეგოვამ შართვა ცოლად უბედურ სიკვდილის ანგელოზსა, რომელმაც შემდეგ ქორწინებისა მალე იგრძნო მწარე ბრჭყალები ყმაწვილი ცოლისა, რომელიც იყო იმისთანა..... იმისთანა...

რაბი შაიამ შასწყვიტა ფრაზი და გამოსაცდენის სახით შახედა თავის ცოლსა.

— კარგი, კარგი დაასრულე სიტყვა, შე ქვეყნის მასხარავ!—წამოიძახა ცოლმა მოუთმენლივ.

— ერთ წელიწადზე მიეცა სიკვდილის ანგელოზს შვილი, სწორედ ისრე, როგორც მე და შენ. სიკვდილის ანგელოზმა თავის უბედურობის ცხოვრება ვეღარ შესძლო, და, ნამდვილად როგორც მე, ადგა და მოშორდა თავის საყვარელს ცოლსა. ბანელო რამდენიმე წელიწადმა. შვილი მათი მოიზარდა, მოიწიფა და დავაჟკაცდა, მაგრამ ჭკუით და სწავლით სრულებით უგუნური ბავში იყო, როგორც ჩვენი შვილი. ერთხელ სიკვდილის ანგელოზმა, ღამე, როდესაც ეძინა ცოლსა, რომლისაც ისე ეშინოდა როგორც მე, მიეიდა შვილთან და უთხრა:—შვილო ჩემო, მიყვარხარ და მსურს დაგაყენო ცხოვრების გზაზედ. აი, რა მოვიფიქრე შენთვის, მოდი შეიქენი ექიმი და იწყე სნეულების მორჩენა.—როდესაც მიხვალ სნეულთან, იცოდე, მე უთუოდ იქ დავხვდები და ვიდგები ან ფეხთით და ან თავით სნეულისა. პირველ შემთხვევაში იცოდე, რომ სნეული უთუოდ მორჩება. მაშინ რაც გინდა აჭამე, რაც გინდა დაალევინე, ერთის სიტყვით ისე მოიქეცი, როგორც იქცევიან ექიმები... ამისთანა სნეულზედ მორჩენის პირობას მე გაძლევ. მაგრამ თუ მნახო, რომ სნეულის თავით ვდგავარ, მაშინ გადაწყვეტით უთხარი, სნეული არ მორჩება-თქო და ხელი აიღე წამლობაზედ. ხოლო სახელისათვის და დიდებისათვის მოიქეცი ისე, როგორც იქცევიან ცრუპენტელა ექიმები, რომელთაც სნეულობისა არა გაეგებათ-რა და როგორც ისინი, შენც გამოუცხადე, რომ გვიან მომიწვიეთ-თქო, სნეულობა ხორცსა და ძვალში მორევია-თქო, დაარქვი სნეულობას ისეთი უცნაური სახელი, რომ ვერა გაიგონ-რა და პირდაპირ უთხარი მოკვდება-თქო. იყავი დარწმუნებული, რომ არას დროს არ შესცდები—ამაზედაც გაძლევ პირობასა. ეს რომ

თვალში თითს ვერ იკრავდი. ეს სულ მერვე საათზე მოხდა. ბევრი სხვაც მომხდარა ამისთანა შემთხვევები და აწ-კი: იმედია, აღარ ეიქმნებით ამ ვარებს მოწამე, თუ ინებებენ და მოგეხედვენ.

* * *

ქუთაისიდამ გვაცოდინებენ:

„ბასული თვის 22-ს ქუთაისის თეატრში წარმოდგენილ იქმნა მოყვარეთაგან ქართული სკენისა—„ჰაიეროსტატი“ კათოლიკეთა სკოლის სასარგებლოდ.

შემოვიდა სულ 190 მანეთი.

ეს ფული დანიშნულებისამებრ მოსახმარად ჩაუბარებიათ ორი პირისათვის, რომელთაც, იმედია, მალე გააცრუებენ იმ ხნებს, ეხლა რომ გვესმის: ვითომ სკოლას არაფერი მიეღოსო ჯერაც, ლაპარაკია...

* * *

შორაპნის მაზრის სოფ. ქინოთიდამ გვწერენ:

„სამრევლო ეკლესია შეიძლება დროებით დაიკეტოს რაიმე ნაკლულოვანებისა გამო, მაგრამ არც ამდენი ხნით გაგონილა. მეთორმეტე წელიწადი გადის ს. ქინოთის ეკლესია დაყენებულია და მის შემავალ მრევლს ამდენი ხნის განმავლობაში წირვა ლოცვა არ მოუსმენია და ქრისტიანულ წესს მოკლებულნი არიან და მათი მღვდელი-კი სხვაგან მათხოვრობს საწირავად ეკლესიას. ამ თორმეტი წლის განმავლობაში იმ დაყენებულ ეკლესიაზე ერთხელაც არ მისულა ეკლესიების კეთილ მოწესე, რომ ჩაეგონებია ხალხისათვის შესრულება ნაკლულოვანებისა. იმ გვარადვე დაყენებულია ეკლესიები სოფ. ქიცხისა და სოფ. ლახუნდარის“.

„დროების“ კორრესპონდენცია

მეჯრუ-ხევი, 2 მარტს. სწორედ რომ მშვენიერი მდებიარეობა აქვს ამ ჩვენ პატარა მეჯურ-ხევს. ყოველის ფრით შემკობილია: შუშა უხვი და ამასთანავე ახლო, ძალიან ნაყოფიერი მინდვრები, წყალი ბლომად და მრავალი ვენახები. ასეთი ღვინო მოგვდის რომ ჯახურს არ ჩამოუარდება. ეს ღვინოა რომ ცოტა ნუგეშს აძლევს მეჯრუ-ხეველებს: გადაჰკვრენ და აქარვებენ დარდებს,—დარდებს, რომელნიც ამ უკანასკნელ დროს უფრო მოედვათ მათ.

ბატონო, გვეგონა, რომ ეს არის, მარტო ჩვენლა ვართ თავისუფლები ვაჭრების გირაოებისაგან და ვალებისაგან, მაგრამ ნუ იტყვით, ნელ-ნელა აკი შემოგვეჩვევნენ და ლამის... მობრძანდებიან ბორიდამ, თითქო იქ არ დატეულან, ეს ბასპარა ეს ავეტიქა ვარო, მართვენ დუქნებს ჰყიდიან საგაჭრო რამეებს ერთი-ხუთად და ატყავებენ ხალხს.

ერთი ეს სნებაც საკმაო იყო, რომ ეს ფიზიკური ავად-მყოფობაც არ გამჩნდარიყო. ექიმიც ისეთი გვყავს, ღვთით, რომ მოველით სხვა-და-სხვა ავად-მყოფობამ მაგრა გაიდგას ფესვი.

ეს აქიმი გახლავსთ ასრედ-წოდებული მეჯუდელი თათუა. მაგრამ ამ თათუას ერისთვის თათუასთან, სწორე მოგახსენოთ, საზოგადო არაფერი აქეს, გარდა ერთი სახელისა. და რად დაარქვეს ამ ექიმს თათუა ჩვენმა მეჯრუ-ხეველებმა, სწორედ არ ვიცი. ამბობენ, ვითომც ამ პატივცემულ ექიმს ძალად დაერქვას თავისათვის ექიმი. როგორც უნდა გახლდეთ, ეს თათუა ერისთვის თათუას კი არ წაგავს და როგორც გინდათ ისე იანგარიშეთ. ეს განსაკუთრებით მაღლა სდგას იმაზედ. ან კი რასაკვირველია მაღლა იდგება, როდესაც ის ფანტაზიაა, და ეს კი ფანტაზია კი არა ნამდვილზედაც გადამეტია!

უბრალო ნუ კი ვინმე გეგონებათ,—ომში ნამყოფი ვინმეა! იქ ხომ გამოუჩენია თავისი ნიჭი.—ომის შემდეგ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მანდ გხლებიათ—ძალაქში და „გაუპრიკაშჩიკებია“ ერთ მეაფთიაქეს.

ძარგად გამოიცადა წამლების კეთებაში. ცოტა ხნის შემდეგ უბედურობა შეემთხვა ხაზეინს, ჩვენი თათუაც „ასტავკაში“ გამობრძანდა და მოატანა მამა-პაპეულ ადგილს—მეჯრუ-ხევს. აქ იმას ძალიან ფიქრი მოუვიდა თავში: მოდიო, ჰფიქრობდა, ექიმს დავირქმევო, გავიკეთებ პატარა აფთიაქსო და ვიქნები ჩემ სოფელშიო, ამითიო მე ბევრ სარგებლობას მოუტანო ჩემ ქვეყანასაო, ბაღდოევის არ იყოს. თქმა ერთი და ასრულებაც, ცოტა ხანში ბ. თათუამ ძალიან აფთიაქი გაიმართა. ულელ დამტვრეული შუშები ძალიან ბლომად აქვს და დამყაყებული ქინა ხომ ერთი კოდი მეტი ექნება.

ამ თათუამ თავის დედას ფოფოდიასაც შეასწავლა ექიმობა; ვთქვათ მე აქ არ ვიყვეო, ეუბნებოდა ხოლმე პირველად თავის დედას, შენ ჩაჰყიდე ხოლმეო წამლებიო. ასწავლა ფული, გრამი, ქინის ჩაყრა შუშიდგან მჩვარში, სალოკი თითის ცემით შუშის პირზედ. მაგრამ ისე მალე მიხვდა ეს მადლიანი ფოფოდია აფთიაქის საქმეს, რომ, მოკლეყს დროში, თავის შვილსაც კი გაასწრო; ეხლა ისეა გაეარჯიშებული, რომ სამი თვითაც კი შეიტყობს ხოლმე რომელ-ავად-მყოფს რამდენი მოუნდება. ბამოუხვევს საჩქაროდ მჩვარში ამ სიტყვებით: დოხტური-შვილი არ მოუკვდება თავის დედას, რამ წამ დალევს, მაშინვე ფეხზედ წამოდგებაო.

ისე გაიგდეს ხმა დედაშვილმა, რომ ახლო მახლო სოფლებიდგან კი არა ოსებიც კი ჩამოდიან.

როგორ მოგწონთ ჩვენი მეჯრუ-ხევი? არა? გვეჭირს-რა! ხორველაც მოვიდეს და დაგვერიოს, ვერას გვიზამს, ოღონდ თათუა კარგა გვეყოლოს. თუმცა ავრცელებენ ხმას, ვითომც ბ. თათუას წამალი არა სჭრიდეს და ხალხს ატყუებდეს. ეს, ბატონო, სულ სიმტრით უგონებენ. ჰშურთ, რომ ყველასთვის კეთილი უნდა და ზომეტებულად, რომ ძალიან დიდი შემოსავალი აქვს. ჩვენ ამისთანა ჭორებს ყური არ უნდა მიუგდოთ, რადგანაც კაცს მტერი არ დაელევა.

ამ ჩვენს მეჯვრის-ხევში ქართული წარმოდგენებიც გაიმართება ხოლმე ზაფხულობით, როდესაც სემინარიელები მოვლენ ხოლმე. ხომ მოგეხსენებათ, რომ ამათ სიარშიყისა ისე არაფერი არ იციან, როგორც მე და ამი-

---

გაათავა ასწავლა თავის შვილს რამდენიმე უცნაური სახელები სნეულობისა, უჩვენა საჭირო მიხვრა-მოხვრა ჩინებული ექიმისა; ბოლოს სიკვდილის ანგელოზი დიდის სიფთხილით, კანკალით, ჩუმად, რომ ცოლს არ ვამოღვიძებიყო, გავიდა, დარწმუნებული, რომ თავის შვილი ბედნიერ გზაზედ დააყენა.—მეორეს დღეს სიკვდილის ანგელოზის შვილი გაჰქრა დედის სახლიდამა და იწყო სხვა-და-სხვა ალაგს ექიმობა.—ექიმობა შეექმნა დიდებული და სახელოვანი; შეიქმნა ხალხში საკვირველ მომქმედი. იტყოდა: მორჩებაო—მორჩებოდა; მოკვდებაო—მოკვდებოდა სნეული.—იყო ყმაწვილი ექიმი ნეტარებაში, დიდებაში და მდიდრდებოდა, რასაკვირველია, თავის მამის წყალობითა. ერთხელ გაუხდა ავად დიდს ვიღაცა კოროლს ქალი, მემკვიდრე საკოროლოსი და ამასთან იმისთანა მშვენიერი, რომ მისი მგზავსი მთელს საკოროლოში არ მოიპოვებოდა. ქვეყანაზედ რაც კი ჩინებულნი ექიმები იყვნენ, ყველანი მოიწვიეს, ყველანი სწამლობდენ, მაგრამ მშვენიერს პრინცესას ვერა უშველეს-რა. სნეული მუდამ დღე უფრო და უფრო ლონდებოდა, ესალმებოდა სიცოცხლესა და უახლოვდებოდა ცივს საფლავსა. ამ დროს მოახსენეს კოროლს საკვირველ-მოქმედობა ყმაწვილი ექიმისა. მან გაგზავნა კაცი და მოიწვია იგი საექიმოდ. მომირჩინე, მომირჩინე ჩემი საყვარელი ქალი—პრინცესა, ეკვდრებოდა ექიმს კოროლი, ოქრო-ვერცხლში ჩაგსვამო, გიბოძებ ჩემ საკოროლოს ნახევარსაო. ექიმმა ინახულა სნეული. პრინცესა, ძლივსღა სუნთქავდა, ნიშანი სიცოცხლისა აღარ ეტყობოდა, მშვენიერება გამქრალიყო და მხოლოდ ჰსჩნდა მისი აჩრდილი;—ექიმი დიდის სიფრთხილით, წყნარა მივიდა ავადმყოფთან, მიმოიხედა, რასაც ეძებდა იხილა და მან დასცა თავ-ზარი... პრინცესას თავით იდგა მამა ექიმისა—ანგელოზი სიკვდილისა, ხელში ეჭირა გაღესილი სამართებელი და გადაწყვეტით უთხრა თავის შვილს:—წადი, წადი, აქ შენთვის სასარგებლო არა არის-რაო! სიცოცხლის ნიშანი აღარ ეტყობოდა ექიმს. ამ დროს მივიდა მასთან კოროლი და უთხრა:—„მომირჩინე პრინცესა, ყმაწვილო ექიმო და მოგცემ შენ ცოლად“.—ეს რომ გაიგო ექიმმა, სთხოვა:—გთხოვთ აქედამ გაბძანდეთ ყველანიო და დამტოვეთ მარტო სნეულთანაო.—როდესაც ყველანი გავიდენ, მივიდა შვილი მამასთანა და უთხრა:—„მამაე, მამავ გესმის, რას მპირდებიან? გთხოვ, ხელს ნუ ახლებ ჩემს საცოლოსა.“—არა, უნდა მოკვდეს,—მიუგო მამამ.—„ბოთხოვ, გეევდრები თავი დაანებე, წადი აქედამ“,—განაგრძობდა თხოვნას შვილი.—„არა, არა, უთუოდ ამ ცოტა ხნის შემდეგ უნდა გამოესპრა ყელი“, მიუგო მამამ გაჯავრებით?—„წადი, წადი, შეუტია შვილმა,—თორემ ეხლავ აქ მოვიყვან დედა ჩემსა“. სიკვდილის ანგელოზმა, გაიგო თუ არა თავის ცოლის სახელი, იმავ წამსვე გაჰქრა და მოშორდა სნეულსა, რომელიც, რასაკვირველია, მალე მორჩა და ბედნიერება ექიმისა დამყარდა სამუდამოდ და მკვიდრად.

—ძარგი, ბოლოს რაო? ჰკითხა ცოლმა.

—აი, გამიგონე, ჩემო კარგო, ჩვენს შვილსაც ჰყავს იმისთანა დედა, მხოლოდ აკლია, რომ მე, მამა მისი, გარდავიქცე სიკვდილის ანგელოზად და მაშინ....

რაბი შაიას აღარ დაესრულებინა ლაპარაკი, რომ ცოლმა სტყორცნა შიგ პირის სახეში თეფში და შეუკრა მას პირი.

აი, როგორი ცოლი ჰყვანდა ჩვენ შაიასა! აი, რისთვის ჰქონდა თავისთავზედ უზრუნველობა და ჰფიქრობდა მხოლოდ საქეყნო კეთილზედ.

რაბი შაიამ დიდს ხანს ითმინა ლანძღვა, გინება და ცემა თავის ცოლისაგან. ბოლოს იქამდისინ მიიყვანა საწყალი, რომ მოთმინებიდამ გამოიყვანა, მოისმინა მთელი ლექსიკონი ლანძღვა-გინებისა, წინააღმდეგი სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ საჩქაროდ წამოხტა, წაავლო ცოლს ხელი, გამოიყვანა კარში და უთხრა:

—დედა-კაცო დასცხრი. ნაცვლად ლანძღვისა და წყეველისა, აბა, შეხედე იმ ცასა!—აუშვირა თითი ცაზედ.

ცოლი შეკრთა და აიხედა მაღლა ცაში, ეგონა მოვლენა რასმეს დაინახავდა.

—ხედავ, ხედავ, ჩემო დედაკაცო?

—არასა ვხედავ!

—დაკვირდი კარგად, რასა ხედავ იქ?

—ვხედავ ცასა.

—ძიდევ რასა?

—სხვას არაფერს!

—ხედავ ვარსკვლავთა?

—ვხედავ, ვხედავ...

—როგორ, ბევრია?

—თუ გსურს, შენ თითონ დათვალე სულელო!—მიუგო ცოლმა და გამოსტაცა თავის ხელი.

—დამაცა, გამიგონე, რას გეტყვი, ჩემო სულიკო. რამდენიც ცაში ვარსკვლავია, იმდენმა ეშმაკმა წაიღოს შენი თავი! ეხლა, ჩემო მტრედო, მაგინე და მწყევლე, რამდენიც გნებავდეს. შენს სიცოცხლეში, ღამე და დღე რომ მაგინო და მწყევლო მაინც ვერ გამისწორდები!

ეს სთქვა და რაბი შაია გაუდგა თავის ვზასა ყვავარჯნით და ხურჯინითა...

ალ. სავანელი.

დენ ამ ჩხუბს საცქერლად. ახლა ციხიდგანაც ვიდრე ორასი სალდათი გამოვიდა. ატყდა საშინელი ქვის სროლა. სალდათებმა თითქმის სახლებში შერეკეს ამოდენი ხალხი.

შეცრილ გაჩნდა რალაც კოჟინა „ბიჭოთ“? მოვიდა თ. მოთავე ჩვენის თამაშობათა, და თუმც იმას ხელი არ გამოუღია, მაგრამ ისე შეგულიანდენ ვაჟ-კაცები, რომ ციხის კარებამდინ შერეკეს სალდათები. ბოლოს პრისტავმა ბამრეკელმა შეატყობინა როტნი კამანდირსა, რა ყოფით დააბრუნეს სალდათები და პრისტავის თხოვნით დაუნიშნეს ყარაულები რომ ბაზარში არ გამოსულიყვნენ. მაგრამ ბ. როტნის კამანდირს ყარაულად დაენიშნა მოჩხუბარიენი სალდათები, თორმეტი კაცი. როდესაც ხალხი დაბრუნდა და გამართეს ისევ თამაში, ერთი ხანის განზე, მცველ სალდათებმა არ დაუყურეს არც პრისტავის ბრძანებას და არც დესეტნიკების რჩევას, რომ ხალხთან ახლო არ მისულიყვნენ. იმათვე გამოგზავნეს რამდენიმე სალდათი, როგორმე აეტეხნათ ჩხუბი და მართლადაც ისე მოხდა. შეჰქონეს სალდათებმა აბხოდის ყვირილი და ჩხუბიც გამართეს, მოახლოვდა აბხოდი და დაუწყეს თოფის ყონდახით ხალხს ცემა და თვალიერება პირველი ჩხუბის წინამძღოლისა. ისიც იქ იყო, ჩვენი თ., რომელსაც ორ-სამ ალაგას შუბიც მოხვდა და კონდახი კი ბლომად, ეს რომ ხალხმა დაინახა ძრიელ აღელდა, და მისცვივდნენ სალდათებს, მაგრამ თ. რამდენიმე მუშტის გაქნევის შემდეგ მარდად გადმოხტა განიდგან. ეხლაც რალაც ბედზე მოგვეშველა ბ. ბამრეკელი თორეგ, თქვენს მტერს, ყარაულები იმსხვერპლებდენ რამდენიმე კაცს.

ეს მოხდა პარასკევს 24-ს თებერს ვალს. ბრილობა თ-ს ორივე ალაგმსუბუქი აღმოუჩნდა. მეორე დღეს თუმც თვითონ ვერ თამაშობდა, მაგრამ სხვებს მაინც კიდევ ახალისიანებდა.

ხელ ჩამოკიდულებს, თავ-გატეხილებს და ცხვირ გატეხილებს ბევრს ნახავდით.

მაყურებელი.

განცხადებანი

გალავინის ბროსპექტედ, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, ვაძლევ შებილით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

(10—2)

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

საქართველოს სამოთხე

გამოცემული მიხეილ საბინიმის-მიერ. ფასი უველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შუამდგომლობთ მიმართონ ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

შედარებ. ნული ნაბ.—1 ფ. 10 კ.		მოსკოვის ნაბ.—1 ფ.40 კ.	
— —	—1—20	—	—1—60
— —	—1—40	—	—1—80
— —	—1—60	—	—2— „
— —	—1—80	—	—2—50
საუკეთესო	—2— „	—	—3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—44)

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

სალამური

№ 1.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

ახალი

წიგნის მაღაზია

არწრუნის გადერეა № 149, 150 ბ. ჯუაბადარის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანელო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—13)

საუდე-გალანტიური

სახელოსნო

ილ. ჭეონიასი, ქუთაისს, თ. ლ. მაჭუტაძის სახლში, მოწყობილი უახლესის სისტემის მაშინებით ჭკისრულობს შესაკეთთა აღსრულებას 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვები. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შეკეთილნი თუ 25 მანეთისას აღემატება, სახელოსნო ასრულებისათანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ თავის სარჯით.

იმავ შენობაში იმყოფება

ბიბლიოთეკა

თ. ა. ლორთქიფანიძისა, ილ. ჭეონიასაგან იჯარით აღებული. ხელ-მოსაწერი პირობები ფრიად ხელ-მისაცემია. ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნები. (20—11)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი ბ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ჯუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც ულიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ბრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ოთველ გვარი სასწავლებლო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ოთველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხაი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ჯუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს „ა კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოცდა-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ულისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შეესებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე

ფიგურალური

ბიბლიოთეკა

„ციკლ“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შაევრდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—15)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზდვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანდოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რეკოლვერები, თოფები, კატისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—34)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

ჩახრუხაძე

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, „უქნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½	
მეორის „	—1 გირ.	3½	
მესამის „	—1 გირ.	—	

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 გირ.	5½
მეორის „ „	—1 გირ.	4½
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	17 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Марта 1883 г. Типографія Мѣликова

ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. ...